ხელშეკრულება
(შესყიდვის ელექტრონული პროცედურა №GEO170000597)

30 ოქტომბერი 2017 წელი

ქ. თბილისი

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“ (შემდგომში „შემსყიდველად” წოდებული), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი შენგელიას სახით და **შპს „Construction Service“** (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად”), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი გაბუნიას სახით, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 09 მარტის №120 დადგენილებით დამტკიცებული შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვის სპეციალური წესისა და შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებული შესყიდვის ელექტრონული პროცედურის (**GEO170000597**) საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება” - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის.
1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელმაც გაიმარჯვა ელექტრონულ პროცედურაში და ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „საქონელი“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ლითონის სივრცითი კარკასის კონსტრუქციების (ლოტი I) (შემდგომში - საქონელი) შესყიდვა.
2.2. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულების 2.3. პუნქტით გათვალისწინებული საქონელი, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.
2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის დასახელება, რაოდენობა, ერთეულის ღირებულება და საერთო ღირებულება მოცემულია დანართში №1, რომელიც ახლავს ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს 270999.10 (ორასსამოცდაათი ათას ცხრაასოთხმოცდაცხრამეტი ლარი და ათი თეთრი) ლარს.
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ

ყველა ხარჯს, მათ შორის საქონლის დატვირთვას და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადების ჩათვლით.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. მიმწოდებელის მოვალეობები:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ში გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში და ადგილზე.

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

გ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებაში და განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

დ) მიმწოდებელი ვალდებულია გამოყოს წარმომადგენელი (ზედამხედველი) რომელიც დაესწრება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის სამონტაჟო სამუშაოებს. წარმომადგენელს (ზედამხედველს) უნდა გააჩნდეს საიდუმლო ობიექტზე დაშვების ნებართვა.

ე) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველის მოვალეობები:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. საქონლის ხარისხი და გარანტია

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი უნდა იყოს ახალი და არ იყოს ნამყოფი ექსპლუატაციაში.

5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი უნდა დამზადდეს შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებული შესყიდვის ელექტრონული პროცედურის (GEO170000597) დოკუმენტაციის დანართი N5-ის შესაბამისად.

5.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის საგარანტიო ვადა, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა შეადგენს 5 (ხუთი) წელს, რომელიც აითვლება ხელშეკრულების 6.4. პუნქტთ გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.

5.4. თუ საგარანტიო პერიოდის განმავლობაში გამოვლინდა საქონლის ნაკლი და/ან ხარვეზი და/ან შესყიდვის ელექტრონული პროცედურის (GEO170000597) დოკუმენტაციის დანართი N5-ის მოთხოვნებთან შეუსაბამობა მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში განახორციელოს საქონლის ან მისი ნაწილის შეკეთება ან შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე (საჭიროების შემთხვევაში კონსტრუქციების დემონტაჟი და მონტაჟი).

5.5. თუ საგარანტიო პერიოდის განმავლობაში საქონლის ნაკლის და/ან ხარვეზის და/ან შესყიდვის ელექტრონული პროცედურის (GEO170000597) დოკუმენტაციის დანართი N5-ის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამოსწორება ან შეცვლა შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება მიმწოდებელი ვალდებულია სრულად დაუბრუნოს შემსყიდველს გადახდილი ღირებულება და სრულად აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი.

5.6. მიმწოდებლის მიერ გარანტიის მოქმედების პერიოდში ხელშეკრულების 5.4. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს შესაბამისი ზომები ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი

თანხიდან (ასეთს არსებობის შემთხვევაში).

5.7. მიმწოდებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს შემსყიდველს ნაკლის და/ან ხარვეზის მქონე და/ან შესყიდვის ელექტრონული პროცედურის (GEO170000597) დოკუმენტაციის დანართი N5-ის მოთხოვნებთან შეუსაბამო საქონლის მიწოდებით მიყენებული ზიანი.

5.8. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არ შეასრულებს 4.1. პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას, საქონელთან დაკავშირებით შემსყიდველის მიერ პრეტენზიების არსებობის შემთხვევაში, მიმწოდებელის მხრიდან საქონლის არასწორ მონტაჟთან დაკავშირებით აპელირება არ იქნება გათვალისწინებული.

5.9. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არ შეასრულებს 4.1. პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას, არასწორად განხორციელებულ სამონტაჟო სამუშაოებზე პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებლს და მასვე დაეკისრება ხარვეზის გამოსწორება საკუთარი ძალებით.

6. საქონლის მიწოდების პირობები და მიღება-ჩაბარების წესი

6.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება შემდეგ ვადებში:

6.1.1. ერთი ცალი კონსტრუქციის მიწოდება - ხელშეკრულების გაფორმებიდან 40 (ორმოცი) კალენდარული დღის განმავლობაში;

6.1.2. ერთი ცალი კონსტრუქციის მიწოდება - ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის განმავლობაში;

6.2. საქონლის მიწოდების ადგილია მიმწოდებლის ქარხანა/საწყობი მდებარე: ქ. რუსთავი, მაზნიაშვილის N2.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს საქონელი გადასცეს საქონელი კანონმდებლობის შესაბამისად გამოწერილი სასაქონლო ზედნადებით და ანგარიშ ფაქტურით.

6.4. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას საქონლის სრულად მიწოდების შემდგომ შეადგინონ მიღება-ჩაბარების აქტი.

6.5. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6.6. იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველის მიერ მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

7.2. შემსყიდველს ან მის მიერ შერჩეულ პირს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ინსპექტირება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე.

7.3. შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო (წუნდებული), საქონლის თანმხლები აუცილებელი დოკუმენტაციის გარეშე ან დაგვიანებით მიწოდებული საქონლის ნაწილის ან მთლიანი მოცულობის მიღებაზე.

8. ანგარიშსწორების პირობები

8.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება ხელშეკრულების 6.4. პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და თანმდევი დოკუმენტაციის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადების, მიღება-ჩაბარების აქტის და ა.შ.) გამოწერიდან/წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

8.3 აუცილებლობის (საჭიროების) შემთხვევაში, დასაშვებია ავანსი სახელშეკრულებო ღირებულების არაუმეტეს 50%-ის ოდენობით;

8.4. ავანსის გამოყენების შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა წარუდგინოს შემსყიდველს საბანკო გარანტია საავანსო თანხის სრულ ოდენობაზე, მხოლოდ სქართველოს რეზიდენტი საბანკო ან სადაზღვევო დაწესებულებიდან, რომლის მოქმედების ვადა 60 (სამოცი) დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებას ვადას.

8.5. ავანსის თანხის გადარიცხვა განხორციელდება საბანკო გარანტიის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.6. ავანსის დაკავება განხორციელდება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

9. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

9.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებელმა შემსყიდველს წარუდგინა ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია, რომელიც წარმოდგენილია ლარში. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადაც 60 (სამოცი) დღით აღემატება საქონლის სრულად მიწოდების ვადას.

9.2. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უპირობო საბანკო გარანტია გამოიყენება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, ასევე ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო.

9.3. საბანკო გარანტიის ამოქმედება მიმწოდებელს არ ათავისუფლებს შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისაგან, იმ მოცულობით რასაც ვერ დაფარავს გარანტიით გათვალისწინებული თანხა.

9.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს აამოქმედოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სრული ოდენობით.

9.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

10. ხელშეკრულების შეფერხება

10.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-12 მუხლის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო 3.1. პუნქტით გათვალისწინებული სახელშეკრულებო თანხის 2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

11.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3. დარიცხული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნეს მოთხოვნიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში.

11.4. შემსყიდველი უფლებამოსილია დარიცხული პირგასამტეხლო გამოქვითოს მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. ნებისმიერი ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ წერილობით ორივე მხარის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების ცვლილების შემთხვევაში, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

12.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

12.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. დავების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, დავის გადაწყვეტის მიზნით მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

გ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;

დ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

16. ფორს-მაჟორი

16.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, საზოგადოებრივი არეულობა და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდ ანაცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენად ჩაითვლება მოვლენა, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

16.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორემხარისმოთხოვნისშემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის

მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

16.3. ის ვადა, რომლის განმავლობაშიც ხელშეკრულების მხარემ უნდა შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულება გადაიწევს იმ პერიოდის ექვივალენტური დროით, რომლის განმავლობაშიც ასეთ მხარეს არ შესწევდა აღნიშნული ვალდებულებების განხორციელების უნარი ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, თუ ეს საერთოდ იქნება შესაძლებელი;

17. სხვა პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე - შემსყიდველს.

შემსყიდველი:	*მიმწოდებელი:*
შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“	**შპს „Construction Service“**
ს/კ:205140257 მის: ქ. თბილისი, ორხევის დასახლება, ახვლედიანის N21 ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“ კოდი: TBCBGE22 ა/ა: GE17TB1100000360200175	ს/კ: 404935647 მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი N24, ბინა N27 ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“ კოდი: TBCBGE22 ა/ა: GE37TB797283 6050100001

გიორგი შენგელია _____ *გიორგი გაბუნია* _____

დ ა ნ ა რ თ ი N 1
(2017 წლის 30 ოქტომბრის ხელშეკრულებაზე)
(შესყიდვის ელექტრონული პროცედურა №GEO170000597)

ქ. თბილისი

30 ოქტომბერი 2017 წელი

საქონლის დასახელება	ერთი კონსტრუქციის წონა	კონსტრუქციების რაოდენობა/ გაწზომილება	ერთი ტონის ფასი (ლარი დღგ-ს ჩათვლით)	საერთო ფასი (ლარი დღგ-ს ჩათვლით)
1	2	3	4	5
ლითონის სივრცითი კარკასის კონსტრუქცია დაფარული ანტიკოროზიული გრუნტით (საქონელი უნდა დამზადდეს ელექტრონული პროცედურის GEO170000597 დოკუმენტაციის დანართი N5-ის შესაბამისად)	46.25 ტონა	2 ცალი	2929.72	270999.10

შემსყიდველი:

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“

ს/კ:205140257
მის: ქ. თბილისი, ორხევის დასახლება, ახვლედიანის N21
ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“
კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE17TB1100000360200175

მიმწოდებელი:

შპს „Construction Service“

ს/კ: 404935647
მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი N24, ბინა N27
ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“
კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE37TB797283 6050100001

გიორგი შენგელია _____

გიორგი გაბუნია _____